# გარეჯის მაცნე



მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №1(63) 2014 წ. 1-15 იანვარი ფასი 50 თეთრი

## შობა იესო ქრისტესი
## უდიდესი ზეიმი მართლმადიდებლობისა
### 7 იანვარს მართლმადიდებლური სამყარო მაცხოვრის შობის ბრწყინვალე დღესასწაულს აღნიშნავს

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II:** „დღეს ზეიმობს ცა და ქვეყანა, ანგელოზნი უგალობენ ახალშობილ მაცხოვარს: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“...

და ჩვენც მათთან ერთად აღმოვთქვამთ სადიდებელს ღვთისას:

უფალო ძლიერო, ბეთლემს შობილო, აღგვადგინე დაცემულნი და კვლავ მოგვანიჭე მადლი შენი; მოგვმადლე განცდაი თვისთა ცოდვათა და არა განკითხვად ძმისა ჩვენისა; მოგვეც სიბრძნე, სიმშვიდე, ერთგულება, ერთსულოვნება, გულის სიწრფელე, რწმენის სიმტკიცე, ჯანის სიმრთელე, მთლიანობა ქვეყნისა, შვილთა სიმრავლე, ნაყოფის სიუხვე, ამაღლებული სიყვარული, სასოება შეურყეველი, რათა ვიხაროთ ორსავე სოფელსა შინა.

კურთხეულო საქართველოვ, შეისმინე სიტყვა უფლისა: „აჰა, ესერა მიმიცემია წინაშე შენსა კარი განღებული, რომლისა დახშვად ვერვინ შემძლებელ არს“ (გამოცხადება 3,8)

მაშ, გავუღოთ გული ჩვენი ნათელსა მას მიუახრდილებელსა და ვიხაროთ უფალთან ერთად.

„ნათელი ქრისტესი განგვანათლებს ყოველთა“.

**მთავარეპისკოპოსი სერგი (ჩეკურიშვილი):**

„ დიდხანს ელოდა ადამიანი მაცხოვრის გამოჩენას.

ელოდა იმ დღიდან, როცა სამოთხიდან განდევნილებს იმედად გამოაყოლა ღმერთმა: – მოგივლენთო მხსნელს და გაუსრესსო გველს თავს.

მშობლიურ გარემოს მოცილებული სევდითა და სასოებით ელოდნენ, მაგრამ ცოდვებით დღითიდღე დამძიმებულნი სულ უფრო და უფრო ეშვებოდნენ ქვესკნელში.

ისევ შემოქმედმა შეაშველა ხელი. წაღმა შემოატრიალა ეშმაკის მიერ უკუღმა დატრიალებული ცხოვრების ჩარხი და იწყო ათვლა ახალმა წელთაღრიცხვამ მიწიდან ცისკენ... და დაედო ამ წელთაღრიცხვას საძირკვლად ქრისტეს შობა.

ჩუმად, თავისთვის ამობრწყინდა ცაზე უჩვეულოდ მოკაშკაშე ვარსკვლავი. მაგრამ ვისთვისაც ამობრწყინდა ვერ გულისხმა ჰყვეს. არცა აუწევიათ თავი ცისკენ. იყვნენ ამქვეყნიურ ორომტრიალში ჩაფლულნი. შორს, აღმოსავლეთში კი მოგვებმა მაშინვე შეამჩნიეს იგი და ისწრაფეს კიდეც მისკენ.

გარშემო კი დუღდა და ჩქეფდა ცხოვრება. დიდებულ პალატებში, სრა-სასახლეებში, რბილ, ფაფუკ ხალიჩებზე დააბიჯებდნენ ამა ქვეყნის მესვეურნი. ის კი, მაცხოვარი, განხორციელებული სიტყვა, იესო ქრისტე უფალი ჩვენი, ჩვეულებრივი, ჩვილი ბავშვივით იწვა ცხოველთათვის განკუთვნილ ბაგაში და ადამიანებს შობისთანავე უმხელდა უდიდეს საიდუმლოს: სიმდაბლეშიაო ადამიანის დიდება. ამქვეყნიური ყოფა და ფუფუნება კი არ განსაზღვრავსო ადამიანის პიროვნებას, არამედ ის, რაც მის შიგნითაა, მისი შინაგანი სამყაროთი წარმოჩნდებაო იგი. ასე ასწავლიდა იგი მორჩილებითა და თავმდაბლობით გადარჩებაო ადამიანი. ამ სიბრძნისაგან კი შორს იდგნენ ადამიანები. ამიტომაც იყო, რომ ერთი, უბრალო, ღარიბული ქოხიც კი არ აღმოჩნდა, რომ შეეფარებინა უფალი, უფალი, რომლის შობასაც ასე უგალობეს ანგელოზებმა: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“...

და იშვა იესო ბეთლემს გამოქვაბულში, სადაც უამინდობისას მწყემსები საქონელს აფარებდნენ.

#### როგორ უნდა მივულოცოთ ეს დღე ერთმანეთს

– მნიშვნელოვანი რომ ჩვენში შობას დიდი ზეიმით აღნიშნავენ. ყოველი კუნჭული ამ სიხარულითაა გაჟღენთილი... ეს უზარმაზარი ბედნიერება და მადლის გადმოღვრაა დედამიწაზე, მაგრამ ეს სიხარული და ახალი სიცოცხლე რომ ჩვენში დაიბადოს, საჭიროა მოღვაწეობა, თავგანწირვა და არჩევა უფლისა, როგორც მთავარი ორიენტირისა და მიზნის, თუმცა, მხოლოდ არჩევანის გაკეთება არ არის საკმარისი, საამისოდ გმირობაა საჭირო, რომ ყოველი წინაღობა – დაცემული აზროვნება, კულტურული ნალექი, შეზღუდულობა, მითები და მატერიასთან მიჯაჭულობა დავძლიოთ.

უფალი ამბობს: მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე... სწორედ ეს გზა უნდა ვეძებოთ და არაფერმა უნდა დაგვათმობინოს იგი. ეს მცირე გმირობა ყველამ უნდა აღვასრულოთ. ნახევარი თავგანწირვით არაფერი გამოვა. უფალი მოშურნეა და სურს ადამიანმა ეს მისთვის გააკეთოს, რადგან სანაცვლოდ შეუდარებელ სიკეთეებს ჰპირდება.

სწორედ ამას ვუსურვებდით ყველას.

ქართული სიტყვა „გამარჯობა“ მხოლოდ ხილულ თუ უამრავ არაკეთილმოსურნე მეზობელზე კი არა, ცოდვებზე, ცხოვრების არასწორ წესზე და დაცემულ ბუნებაზე გამარჯვებას გულისხმობს. თუ ჩვენში რწმენა არ დაიბადა, წყვდიადში ვგიებთ. სწორედ ამ ნათელს შობს ჩვენში ქრისტე. მაცხოვრის დაბადებით მარადისობისათვის უნდა ვიშვათ, რისთვისაც სინამდვილეში შექმნილნი ვართ.

*ჟურნალი „კარიბჭე“*
*(იბეჭდება შემოკლებით)*



6 იანვარს, საღამოს ლოცვების დასრულებისას გიორგიწმნინდის ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიაში (მოძღვარი გიორგი პავლოვი) ანალოღიაზე დაბრძანებულ შობის ხატს მირონი დაედინა. ჯერ თეთრი ფერის იყო, შემდეგ კი ახალი წვეთი გაჩნდა, რომელიც ვიზუალურად სისხლის წვეთს ჰგავს. აქ სწორედ ის ხატია გამოსახული ზედ სისხლისფერი მირონით.

## საგარეჯოში ახალ წელს ღია ცის ქვეშ შეხვდნენ

31 დეკემბერს, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინიციატივითა და ხელშეწყობით, ქ.საგარეჯოს ცენტრში ღია ცის ქვეშ გაიმართა საახალწლო კონცერტი, კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივი სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებმა, ინდივიდუალურმა შემსრულებლებლებმა და ქართული ესტრადის ცნობილმა სახეებმა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი ლოლაძე, გამგებლის მოადგილე ბესიკ მარტიაშვილი



და სხვა მოწვეული სტუმრები.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა საგარეჯოელებს დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა.

ღონისძიებაში მონაწილეებს გამგეობის მიერ საახალწლო საჩუქრები და ტკბილეული გადაეცათ.

საღამო ულამაზესი ფეიერვერკით დასრულდა.





*საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის*
*საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური*

# მუნიციპალური გვერდი

## ბიუჯეტის განხილვა

საგარეჯოს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარდგენილი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის პროექტით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტი განიხილეს.

ბიუჯეტი საზოგადოებას ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ბიუჯეტის დაგეგმვის და ადგილობრივი ფინანსების სამსახურის უფროსმა* თამარ უსტიაშვილმა** გააცნო. მან ისაუბრა, როგორც შემოსავლების ასევე გადასახდელების ნაწილზე, კერძოდ 2014 წლის ბიუჯეტის ხარჯები მიმართულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დაფინანსებაზე, ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციაზე და ექსპლუატაციაზე, სპორტული და კულტურული ღონისძიებების დაფინანსებასა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და უზრუნველყოფაზე.

ბიუჯეტის განხილვა კითხვა–პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა. განხილვას საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის თანამშრომლები, არასამთავრობო ორგანიზაციები და საზოგადოების ნაწილი ესწრებოდა.

*საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის*
*საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური*



ბიუჯეტის განხილვა დემოკტარიული ჩართულობის ცენტრში

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო სხდომა

**27 დეკემბერი, 2013 წელი**

სხდომას უძღვებოდა ***მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე*** **ილია ჭიაურელი**

**დღის წესრიგი:**

1. „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" (მომხსენებელი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ილია ჭიაურელი, თანამომხსენებლები: საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ადგილობრივი ფინანსების მართვის სამსახურის უფროსი თამარ უსტიაშვილი, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ქურთიშვილი).

2. არასამეწარმეო იურიდიული პირის „სკოლამდელი და სკოლისგარეშე სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების" რეორგანიზაცია (გაყოფა) და მის ბაზაზე „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საგარეჯოს სკოლისგარეშე მუშაობის დაწესებულებათა გაერთიანების" შექმნისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 სექტემბრის №81 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე (მომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე ივანე გრძელაშვილი).

საკრებულოს დეპუტატებმა ღრმად და საფუძვლიანად იმსჯელეს პირველ საკითხზე მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი მოხსენების ირგვლივ და მიიღეს შესაბამისი დადგენილება, რის მიხედვითაც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის მოცულობა 7044.9 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრა, მათ შორის სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან აღებული გრანტი 3580.8 ათასი ლარი, აქედან გათანაბრებითი ტრანსფერი 3.370.8 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი. დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 210.0 ათასი ლარი. გადასახადების მოცულობა განისაზღვრა 7044.9 ათასი ლარით. (ამ საკითხით დაინტერესებულ პირებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის შესახებ ვრცელ ინფორმაციას ვთავაზობთ ამავე ნომრის მომდევნო გვერდებზე).

საკრებულომ სხდომაზე განხილულ საკითხებთან დაკავშირებით მიიღო შესაბამისი დადგენილებები.

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

## დადგენილება № 35

**27 დეკემბერი 2013 წელი** ქ. საგარეჯო

**„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის შესახებ"**

ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის მოცულობა 7044,9 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან აღებული გრანტი 3580.8 ათასი ლარი; აქედან გათანაბრებითი ტრანსფერი 3370.8 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი. დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებად 210.0 ათასი ლარი.

გადასახდელების მოცულობა განისაზღვროს 7044,9 ათასი ლარით.

(დანართი 1, 2, 3)

მუხლი 2, განისაზღვროს 2009 წელს სასოფლო–სამეურნეო ტექნიკის შესაძენად საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მიერ მუნიციპალური განვითარების ფონდიდან აღებული ვალდებულებების დაფარვის და მომსახურეობის ასიგნება 20.0 ათასი ლარით

მუხლი 3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის შესახებ" საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის № 25 დადგენილება;

მუხლი 4. დადგენილება ძალაშია 2013 წლის 1 იანვრიდან

საკრებულოს თავმჯდომარე: ილია ჭიაურელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2012 წლის 28 დეკემბრის №25 დადგენილების
„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2014 წლის
ბიუჯეტის შესახებ" დანართი № 1

თავი I

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

**საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბალანსი**

| დასახელება | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის ფაქტი | | | 2014 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 8087.7 | 10187.9 | 4066.9 | 6121.0 | 6944,9 | 0,0 | 6944.9 |
| გადასახადები | 1640.1 | 1777.3 | | 1777.3 | 2132,7 | | 2132.7 |
| გრანტები | 5217.2 | 6927.6 | 4066.9 | 2860.7 | 3580.8 | | 3580.8 |
| სხვა შემოსავლები | 1230.4 | 1483.0 | | 1483.0 | 1231,4 | | 1231,4 |
| ხარჯები | 6239.0 | 4642.1 | 78.5 | 4563.6 | 6681,7 | 0.0 | 6681,7 |
| შრომის ანაზღაურება | 1375.9 | 2167.5 | | 2167.5 | 1823.1 | | 1823.1 |
| საქონელი და მომსახურება | 1852.7 | 1276.7 | 78.5 | 1198.2 | 1647,5 | | 1647,5 |
| ძირითადი კაპიტალის მომსახურება | | | | | | | |
| პროცენტი | 7.9 | 6.9 | | 6.9 | 8.4 | | 8.4 |
| სუბსიდიები | 1640.2 | 1189.2 | | 1189.2 | 2637,1 | | 2637,1 |
| გრანტები | 330.0 | | | | | | |
| სოციალური უზრუნველყოფა | 1030.5 | 595.7 | | 595.7 | 554.0 | | 554.0 |
| სხვა ხარჯები | 1.8 | 1.8 | | 1.8 | 11,6 | | 11,6 |
| საოპერაციო სალდო | 1848.7 | 5545.8 | 3988.4 | 1557.4 | 263,2 | | 263.2 |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 2930.1 | 3453.9 | 4190.7 | -56.1 | 263,2 | | 263.2 |
| ზრდა | 6706.1 | 4392.2 | 3319.5 | 201.5 | 363.2 | | 363.2 |
| კლება | 3776.3 | 257.6 | | 257.6 | 100.0 | | 100.0 |
| მთლიანი სალდო | 1848.7 | -586.4 | -259.5 | -326.9 | | | |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | -1090.0 | -596.0 | -259.5 | -336.6 | 0,0 | | 0,0 |
| ზრდა | 106.7 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | | 0,0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 106.7 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | | 0,0 |
| ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა | | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | | 0,0 |
| სესხები | | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | | 0,0 |
| აქციები და სხვა კაპიტალი | | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | | 0,0 |
| სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები | | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | | 0,0 |
| წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები | | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | | 0,0 |

*გაგრძელება მე-3 გვერდზე*

**გაგრძელება**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სხვა დებიტორული დავალიანებები | | 0,0 | | | 0,0 | | 0,0 |
| კლება | 1196.6 | 596.0 | 259.5 | 336.6 | 0,0 | | 0,0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 1196.6 | 596.0 | 259.5 | 336.6 | 0,0 | | 0,0 |
| ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა | | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | | 0,0 |
| სესხები | | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | | 0,0 |
| აქციები და სხვა კაპიტალი | | | | | 0,0 | | 0,0 |
| სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები | | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | | 0,0 |
| წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები | | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | | 0,0 |
| სხვა დებიტორული დავალიანებები | | | | | 0,0 | | 0,0 |
| ვალდებულებების ცვლილება | -8.5 | -9,6 | | -9,6 | -11.6 | | -11.6 |
| ზრდა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | | 0,0 |
| საგარეო | | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | | 0,0 |
| საშინაო | | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | | 0,0 |
| კლება | 8.5 | 9.6 | 0,0 | 9.6 | 11.6 | | 11.6 |
| საგარეო | | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | | 0,0 |
| საშინაო | 8.5 | 9.6 | 0,0 | 9.6 | 11.6 | | 11.6 |
| ბალანსი | 0,000 | 0,000 | 0,000 | 0,000 | 0,000 | 0,000 | 0,000 |

**მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით

**საგარეჯოს მუნიციპალიტეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება**

**ათას ლარებში**

| | | | |
|---|---|---|---|
| დასახელება | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის ფაქტი | 2014 წლის გეგმა |
| შემოსულობები | 11864.0 | 10445.6 | 7044,9 |
| შემოსავლები | 8087.7 | 10188.0 | 6944,9 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 3776.3 | 257.6 | 100.0 |
| ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით) | | | 0,0 |
| ვალდებულებების ზრდა | | 0,0 | |
| გადასახდელები | 12962.4 | 11041.6 | 7044,9 |
| ხარჯები | 6247.5 | 6644.6 | 6670,1 |
| არაფინანსურიაქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით) | 6706.4 | 4387.5 | 363.2 |
| ფინანსური აქტივების ზრდა ( ნაშთის გამოკლებით) | | | |
| ვალდებულებების კლება | 8.5 | 9.6 | 11.6 |
| ნაშთის ცვლილება | -1098.4 | -596.0 | 0,0 |

**მუხლი 3. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 6944,9 ათასი ლარის ოდენობით

**საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები**

**ათას ლარებში**

| დასახელება | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის ფაქტი | | | 2014 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 8087.7 | 10187.9 | 4066.9 | 6121 | 6944,9 | | 6944,9 |
| გადასახდელები | 1640.1 | 1777.3 | | 1777.3 | 2132,7 | | 2132,7 |
| გრანტი | 5217.2 | 6927.6 | 4066.9 | 2860.7 | 3580.8 | | 3580.8 |
| სხვა შემოსავლები | 1230.4 | 1483 | | 1483 | 1231,4 | | 1231,4 |

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

## დადგენილება № 35

**მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები**

ათას ლარებში

| დასახელება | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის ფაქტი | | | 2014 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი | საკუთარი შემოსავლები |
| გადასახადები | 1638.8 | 1777.3 | | 1777.3 | 2132,7 | | 2132,7 |
| ქონების გადასახადი | 1638.8 | 1777.3 | | 1777.3 | 2132,7 | | 2132,7 |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 240.2 | 240.0 | | 240.0 | 240.0 | | 240.0 |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 18.4 | 32.8 | | 32.8 | 34 | | 34 |
| სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 1261.1 | 1380 | | 1380 | 1725,7 | | 1725,7 |
| არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 119.1 | 124.5 | | 124.5 | 133. | | 133 |
| სხვა გადასახადი ქონებაზე | | | | | | | |
| სხვა გადასახადები | | | | | | | |

**მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 3580.8 ათასი ლარის ოდენობით

**მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტი**

| დასახელება | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის ფაქტი | 2014 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| გრანტები | 5149.6 | 6927.3 | 3580.8 |
| სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი | 5149.6 | 6927.3 | 3580.8 |
| ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერი | 4949.6 | 6891.3 | 3580.8 |
| გათანაბრებითი ტრანსფერი | 2705.7 | 2660.7 | 3370.8 |
| მიზნობრივი ტრაბსფერი | 200 | 200 | 210 |
| ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად | 200 | 36.0 | |
| ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი | 2043.9 | 4030.6 | |
| საქართველოს რეგიონები განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები | 940 | 3033.6 | |
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 987.9 | 997.0 | |
| სხვა პროექტები | 116 | | |
| სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ | | | |
| მთავრობის სარეზერვო ფონდი | | | |

**მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 1161.5 ათასი ლარის ოდენობით

| **დასახელება** | **2012 წლის ფაქტი** | **2013 წლის ფაქტი** | **2014 წლის გეგმა** |
|---|---|---|---|
| სხვა შემოსავლები | 1230.4 | 1482.9 | 1231,4 |
| შემოსავლები საკუთრებიდან | 833.5 | 697.8 | 695 |
| პროცენტები | 182.1 | 47 | 45 |

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

## დადგენილება № 35

**გაგრძელება**

| | | | |
|---|---|---|---|
| დივიდენდები | | | |
| რენტა | 651.4 | 650.8 | 650 |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 650.3 | 650 | 650 |
| შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 1.1 | 0.8 | |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 90.3 | 116.2 | 66.5 |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები | 83.8 | 109.1 | 60 |
| სანებართვო მოსაკრებელი | 25.6 | 56.7 | 15 |
| სახელმწიფო ბაჟი | 1.4 | | |
| სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი | 4.6 | 7.4 | |
| სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი | | | |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 52.2 | 45 | 45 |
| არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება | 6.5 | 7.1 | 6.5 |
| შემოსავლები მომსახურების გაწევიდან | 6.5 | 7.1 | 6.5 |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები | 293.8 | 668.8 | 469,9 |
| შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | 12.8 | 0.1 | |

### მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 6681,7 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ხარჯები

| დასახელება | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის ფაქტი | | | 2014 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| ხარჯები | 5908.5 | 6639.7 | 36.4 | 6603.3 | 6681,7 | | 6681,7 |
| შრომის ანაზღაურება | 1375.4 | 2167.5 | | 2167.5 | 1823.1 | | 1823.1 |
| საქონელი და მომსახურება | 1852.7 | 1876.7 | | 1876.7 | 1647,5 | | 1647,5 |
| ძირითადი კაპიტალის მომსახურება | | 0,0 | | | 0,0 | | |
| პროცენტი | 7.9 | 6.9 | | 6.9 | 8.4 | | 8.4 |
| სუბსიდიები | 1640.2 | 1991.2 | 36.4 | 1954.8 | 2637,1 | | 2637,1 |
| გრანტები | | | | | | | |
| სოციალური უზრუნველყოფა | 1030.5 | 595.7 | | 595.7 | 554.0 | | 554.0 |
| სხვა ხარჯები | 1.8 | 1.7 | | 1.7 | 11,6 | | 11,6 |

### მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 263.2 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 363.2ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| | დასახელება | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის ფაქტი | 2014 წლის გეგმა |
|---|---|---|---|---|
| 01 00 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 260.0 | 39.7 | 14.0 |
| 02 00 | თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 69.0 | 8.7 | 277.0 |
| 03 00 | ინფრასტრუქტურის მშენებლობლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 5305.4 | 4062.9 | 3.2 |
| 04 00 | განათლება | 487.0 | 241.8 | 4.5 |
| 05 00 | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი | 512.9 | 39.1 | 24.5 |
| 06 00 | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 72.2 | | 40,0 |

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 100 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

| დასახელება | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის ფაქტი | 2014 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| არაფინანსური აქტივების კლება | 3715.4 | 257.6 | 100 |
| ძირითადი აქტივები | 53.9 | 50 | 50 |
| არაწარმოებული აქტივებო | 3661.5 | 207.6 | |
| მიწა | | 50 | |

### მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

**ათას ლარებში**

| ფუნქციო ნალური კოდი | დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის ფაქტი | 2014 წლის გეგმა |
|---|---|---|---|---|
| 701 | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 2431.3 | 2575.6 | 2245.3 |
| 7011 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 2078.7 | 2568.7 | 2225.3 |
| 70111 | აღმასრულებელ და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 2078.7 | 2549.1 | 2165.3 |
| 70112 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | | 19.6 | 60 |
| 7013 | საერთო დანიშნულების მომსახურება | | | |
| 70133 | საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება | | | |
| 7016 | ვალთან დაკავშირებული ოპერაციები | 16.4 | 16.5 | 20.0 |
| 7017 | საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეს შორის | 330.0 | | |
| 7018 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში | | | |
| 702 | თავდაცვა | 99.2 | 149.0 | 127.0 |
| 7021 | შეიარღებული ძალები | | | |
| 703 | საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 308.9 | 307.0 | 532.7 |
| 7031 | პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა | 102.1 | | |
| 7032 | სახანძრო დაცვა | 206.8 | 307.0 | 532.7 |
| 704 | ეკონომიკური საქმიანობა | 3384.9 | 1847.0 | 75.0 |
| 7042 | სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა | 4.0 | 10.0 | |
| 70421 | სოფლის მეურნეობა | | | |
| 70423 | მეევზეობა და მონადირეობა | | | |
| 7045 | ტრანსპორტი | 3380.9 | 1837.0 | 30.0 |
| 70451 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 3380.9 | 1837.0 | 30.0 |
| 705 | გარემოს დაცვა | 592.9 | 958.1 | 360,6 |
| 7051 | ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება | 589.9 | 432.6 | 330.6 |

გაგრძელება მე-5 გვერდზე

**გაგრძელება**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 7052 | ჩამდინარე წყლების მართვა | | 525.5 | 30 |
| 7055 | გამოყენებითი კვლევები გარემოს დაცვის საქმეში | 3.0 | | |
| 706 | საბინაო–კომუნალური მეურნეობა | 2321.7 | 2319.2 | 493.2 |
| 7063 | წყალმომარაგება | 1083.8 | 1744.7 | 225.0 |
| 7064 | გარე განათება | 361.9 | 268.2 | 253.2 |
| 7066 | **სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო–კომუნალურ მეურნეობაში** | 876.0 | 306.3 | 15.0 |
| 707 | ჯანმრთელობის დაცვა | 152.4 | 80.6 | 95 |
| 70711 | ფარმაცევტული პროდუქცია | | | |
| 7072 | ამბულატორიული მომსახურება | 76.9 | 5.6 | 6.0 |
| 70721 | ზოგადი პროფილის ამბულატორიული მომსახურება | | | 6,0 |
| 7074 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 70 | 75.0 | 89.0 |
| 7076 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში | | | |
| 708 | დასვენება, კულტურა და რელიგია | 1342.4 | 866.8 | 952,1 |
| 7081 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 355.6 | 386.1 | 427.0 |
| 7082 | მომსახურება კულტურის სფეროში | 834.5 | 426.7 | 460,1 |
| 7083 | ტელერადიო მაუწყებლობისა და საგამომცემლო საქმიანობა | 24.5 | 24 | 25 |
| 7084 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიაანობა | 127.8 | 30 | 40 |
| 709 | განათლება | 1289.2 | 1356.1 | 1619,0 |
| 7091 | სკოლამდელი აღზრდა | 1218.5 | 1299.3 | 1551,6 |
| 7092 | ზოგადი განათლება | | | |
| 7096 | განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება | 42.7 | 56.8 | 67.4 |
| 710 | სოციალური დაცვა | | | 545,0 |
| 7101 | ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 1022.6 | 572.5 | |
| 71011 | ავადმყოფთა სოციალური დაცვა | | | |
| 7102 | ხანდაზმულთა სოციალური დაცვა | 168.5 | 162.8 | 190 |
| 7103 | მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა | 1.8 | 1.8 | 1.8 |
| 7106 | საცხოვრებლით უზრუნველყოფა | 38.7 | 40 | 40 |
| 7107 | სოციალური გაუცხოვების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას | 804.8 | 351.5 | 260.8 |
| 7109 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში | 8.8 | 8.5 | 52.3 |

**მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო ათასი ლარის ოდენობით

**მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება ათასი ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება ათასი ლარის ოდენობით.

**მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება**

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -11.6 ლარის ოდენობით.

**მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი**

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 60.0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებების შესაბამისად.

**მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი**

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 210. ათასი ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 82.0 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 120 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 8.0 ათასი ლარი;

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

## დადგენილება № 35

**მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**2013 წლის 27 დეკემბრის № 35**
**დადგენილების**
**„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2014 წლის**
**ბიუჯეტის შესახებ“ დანართი № 2**
**თავი I**

***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები***

**მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**

**მუნიციპალიტეტის ძირითადი პრინციპებია:**

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხელშეწყობა და საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების განმტკიცება;

საინვენსტიციო გარემოს და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;

სკოლამდელი განათლებისადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ხარისხის ამაღლება;

კულტურისა და სპორტის განვითარება, და ახალგაზრდობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება;

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

**1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება**

ბოლო დროს გახშირებული მიწისძვრის, სახანძრო და სხვა უბედური შემთხვევების პრევენციის მიზნით აუცილებელია პერსონალის სახანძრო და სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა. პერსონალისათვის სათანადო ხარისხის ინდივიდუალური და ჯგუფური წვრთნების ჩატარება და პროფესიული დონის ამაღლება. სახანძრო სამაშველო სამსახურის შენობის რეაბილიტაცია და კომუნალური პირობების გაუმჯობესება. არსებული რესურსებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით სახანძრო და მაღალგამავლობის ავტომობილის შეძენა, რაც აუცილებელია მაშველების ოპერატიული მოქმედებისათვის.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების, აგრეთვე საგზაო უსაფრთხოების ამოცანათა განხორციელება ბოლო წლებში ინტენსიურად ხორციელდება შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ.

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

**1.1 საგანგებო სიტუაციების მართვა (პროგრამული კოდი 02 01)**

სახანძრო და სხვა უბედური შემთხვევების პრევენციის მიზნით აუცილებელია სახანძრო და სამაშველო აღჭურვილობისა და შეიარაღების მოდერნიზაციის გაგრძელება მატერიალურ–ტექნიკური ბაზის თანამედროვე სტანდარტების ტექნიკითა და შეიარაღებით აღჭურვა. მათი შესწავლის უზრუნველყოფა, ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკური მუშაობა რაც აუცილებელია მაშველების ოპერატიული მოქმედებისათვის,

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილება, მათი შედეგების ლიკვიდაცია, მოსახლეობისა და გარემოს სახანძრო უსაფრთხოების დონის ამაღლება

შედეგების შეფასების კრიტერიუმი:

სახანძრო–სამაშველო ოპერატიული სამსახურის შემთხვევებზე რეაგირების დროის შემცირაბა 10%ით.

წინა წლებთან შედარებით უბედური შემთხვევების (მათ შორის გარდაცვლილთა) შემცირება 20%

წინა წლებთან შედარებით დამწვარი ფართობების შემცირება 20%.

**1.2 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა**

(პროგრამული კოდი 02 03)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

არსებული რესურსებისა და თავდაცვის მოთხოვნების გათვალისწინებით ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაუმჯობესებისათვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებთა სამხედრო აღრიცხვის, სამხედრო დამსახურისათვის მომზადებისა და გაწვევის კოორდინაცია;

რეზერვისტთა გაწვევის გაუმჯობესება

თავდაცვისუნარიანობის ხელშეწყობა

შედეგების საბოლოო შეფასება:

სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გეგმის 100% შესრულება

მობილიზებული რეზერვისტების 100 % შესრულება

ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

**2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)**

ეკონომიკური პოტენციალის ამაღლების და შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და შემდგომი მოვლა –შენახვა, პრიორიტრტის ფარგლებში გაგრძელდება გზების მოასფალტებას და ორმოულ შეკეთებას და სასოფლო გზების მოხრეშვას, ტროტუარების რეაბილიტაციას, მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინების ეზოების კეთილმოწყობას, სასმელი წყლის სათავე ნაგებობების და ქსელის სისტემის რეაბილიტაციას, მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინების სახურავების და ფასადების რეაბილიტაც სასმელი წყლის ქსელის მომსახურების, გარე განათების რეაბილიტაციასა და ექსპლოატაციის, ხევების ნაპირების გამაგრებას და მისი ნატანებისაგან გაწმენდას, ქალაქის დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას და ქალაქის ტერიტორიაზე არსებული სკვერები, ბაღების მოვლა–პატრონობას, მეტეოროლოგიური სადგურის მომსახურე პერსონალისთვის ხელფასის გადახდა, სპორტული დარბაზების და სპორტული მოედნების მოწყობა, სკვერების მოვლა–შენახვა და ექსპლოატაციას,

**2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება; ასევე ახალი და შიდაგზების რეაბილიტაცია; საგზაო მოძრაობის დადგენილი წესების მიხედვთ შესაბამისი საგზაო ნიშნების, გადასასვლელების და სიჩქარის შემზღუდველი ბარიერების მოწყობა, ასფალტის საფარის ორმოული შეკეთება; რაც გააუმჯობესებს არსებულ საგზაო ინფრასტრუქტურას

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება,

მოწესრიგებული სავალი ნაწილი ხელს შეუწყობს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას

ქუჩების განტვირთვა ჭარბი სატრანსპორტო ნაკადისაგან

სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება

შედეგების შეფასების კრიტერიუმი:

რეაბილიტირებული გზების ზრდა 40 %–ით

ახალი საფარით დაფარული გზების მატება 30 %–ით

**2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა–რეაბილიტაცია და მოვლა–შენახვა (პროგრმული კოდი03 02)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა–სენახვა და მისი ექსპლოატაციასთან

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*

გაგრძელება

დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება, ქალა ქ საგარეჯოს და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალმომარაგების სათავე ნაგებობის და ქსელის მოვლა–სენახვა და ექსპლოატაცია, სანიაღვრე არხების და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებული ხევების ნატანებისაგან გაწმენდა და დამცავი ჯებირების მშენებლობა

**2,2,1 ბინათმშენებლობა**

**2.2.3 წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია და მოვლა–შენახვა (პროგრამული კოდი( 03 02 03)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლის სათავე ნაგებობების, არსებულ წყალმომარეგების ქსელის მცირე მასშტაბიანი სარეაბილიტაციო ღონისძიებების ჩატარება. საგარეჯოს მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების ტერიტორიაზე არსებული სათავე ნაგებობების, რეზერვუარების, შიდასაუბნო და ცენტრალური ქსელების, სატუმბო სადგურების მოვლა–პატრონობა (დარეგულირება) და რეცხვა–დეზინფექცია სადეზინფექციო საშუალებებით; წყლის საანალიზო სინჯების აღება, არსებული სანიტარულ ნორმებთან მისი შესაბამისობის დადგენის მიზნით.

**2.2.4 გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 04)**

მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელია ქუჩების განათება, პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების დაფარვა, რეაბილიტირებულ გზებზე ახალი წერტილების მოწყობა, ისტორიულ ძეგლებზე და მუნიციპალიტეტის ღირშესანიშნავ ადგილებში მინათებების მოწყობა.

**2.2.5 დასუფთავების ღონისძიებები პროგრამული კოდი (03 02 01)**

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში სანიტარული მგდომარეობის გასაუმჯობესებლად განხორციელდება ქალაქ საგარეჯოს 42 ქუჩიდან, სოფელ გიორგიწმინდის და ნინოწმინდის მოსახლეობიდან, ფიზიკური და იურიდიული პირებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენის გატანა არანაკლებ ორ დღეში ერთხელ, ქალაქ საგარეჯოს ცენტრალური ქუჩების და მოედნების დაგვა–დასუფთავება; ზამთრის პერიოდში გზების ტექნიკური მარილით დამუშავება, ჭარბი თოვლისაგან გაწმენდა, ნაგავსაყრელის მოვლა–შენახვა, საყოფაცხოვრებო ნარჩენებისთვის ახალი ბუნკერების შეძენა. ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ბაღების, სკვერების, გაზონების მოვლა–პატრონობა. უმეთვალყუროს დარჩენილი ცხოველების იზოლაციის სამუშაოები

**2.2.6 სანიაღვრე არხების მშენებლობა და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)**

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხევების კალაპოტები თოვლის დნობის ან ძლიერი წვიმების დროს ჭარბ წყალს ვერ იტევს, კალაპოტიდან გადმოდის და მოსახლეობის კუთვნილ საკარმიდამო ნაკვეთებს ტბორას. ხშირია შემთხვევა წყლის ცენტრალურ გზაზე გადასვლისავრები , რაც ხელს უშლის კახეთის მიმართულებით ტრანსპორტის გადაადგილებას. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხევების კალაპოტების ნატანებისაგან გაწმენდა

**მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:**

მრავალსართულიანი შენობებში მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ–ეკონომიკური და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;

ქალაქის იერსახის გაუმჯობესება;

სუფთა და უსაფრთხო გარემო ;

დასახლებული ტერიტორიების წყალმომარაგების მიწოდების გაუმჯობესება

მოსახლეობისათვის მიწოდებული წყლის ხარისხის გაუმჯობესება;

ფეხით მოსიარულეთათვის და სატრანსპორტო საშუალებებისთვის უსაფრთხო გადაადგილება

კრიმინოგენური ფაქტორების შემცირება

მაწანწალა და უმეთვალყუროდ დარჩენილი ცხოველების რაოდენობის შემცირება

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

რეაბირიტირებული საცოვრებელი ფართობი გაიზრდება 10%–ით

რეაბილიტირებული ფასადების ფართობის ზრდა10 %–ით

მაწანწალა ძაღლებისაგან დაკბენილი მოსახლეობის შემცირება;

განათებული ფართობების ზრდა 5%–ით;

დასატბორი ფართობის შემცირება 5 %–ით

სასმელი წყლის ქსელის შენარჩუნება

**2.3 კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)**

**2.3.1 სპორტული მოედნების მოწყობა–რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 03 01)**

**2.3.2 სკვერების, ბაღების მოვლა–შენახვა და ექსპლოატაცია**

(პროგრამული კოდი 03 03 02)

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დასასვენებელი ადგილებით უზრუნველყოფა დღე–ღამის ნებისმიერ დროს;

ქალაქის ინფრასტრუქტურის იერსახის გაუმჯობესება;

**შედეგების შეფასების ინდიკატორი:**

მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;

დასვენებისა და გართობის ადგილების მოწყობა;

გამწვანებული, მოვლილი ტერიტორიები.

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

## დადგენილება №

**3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში განთასებულია 26 სკოლამდელი დაწესებულება, სადაც სწავლობს 1150 აღსაზრდელი,2014 წელს დაწესებულებების შენახვაზე გამოყოფილია 1267,7 ათასი ლარი, საიდანაც კვების თანხაზე მიიმართება 421,0 ათასი ლარი, სკოლამდელ დაწესებულებებში სამჯერადი კვებაა, ერთი ბავშის კვება დღეში 2 ლარი და 40 თეთრია, პროექტის ფარგლებში ხორციელდება სკოლამდელ დაწესებულებებში აღსაზრდელთა კვების ხარისხის ამაღლება, ასევე მოსაწესრიგებელია სკოლამდელი დაწესებულებების შენობები და მატერიალურ–ტექნიკური ბაზა. სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ზოგადი და პროფესიული განათლების ხელშეწყობა.

**3.1 სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)**

პროგრამის დასახელება: სკოლამდელი სააღმზრდელო განვითარების პროგრაა (პროგრამული კოდი0401)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ბავშვების მეთვალყურეობა,მათი ჯანმრთელობის და სიცოცხლის დაცვა. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით სწავლების დონის განსაზღვრა „სკოლამდელი აღზრდის პროგრამის“ შესაბამისად, ანუ შესაბამისი პროგრამების, სასწავლო და მეთოდური მასალების განსაზღვრა, ბავშვთა სრულფასოვანი კვების ორგანიზება,

**მოსალოდნელი შუალედური შედეგი:**

საბავშვო ბაგა–ბაღებში გაუმჯობესებული სააღმზრდელო პროცესი

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მენეჯმენტის სრულყოფა;

საბავშვო ბაგა–ბაღებში დასაქმებულთა მოტივიზაციის გაზრდა;

სამოქალაქო საზოგადოების ჩარტულობის გაზრდა საბავშვო ბაგა–ბაღების მართვის პროცესში

**შედეგების შეფასების კრიტერიუმი:**

აღსაზრდელთა და მშობელთა კმაყოფილობის ზრდა;

აღსაზრდელთა რაოდენობის ზრდა 10%–ით;

მასწავლებელთა კვალიფიკაციის ზრდა.

საბავშვო ბაღებზე გააწეული დანახარჯების ეკონომიის შედეგად ოჯახების შემოსავალი გაიზრდება 10-30 ლარით.

ბავშვების მოვლაზე დედების დროის ეკონომია.

შეკეთდება 5 საბავშვო ბაღი.

2014 წელს დამატებით გაიხსნება 3 ჯგუფი, (2 იორმუღალნოს ზონაში, 1 ქ. საგარეჯოში, გაღმა უბნის დასახლებაში). შემცირდება საბავშვო ბაღების გარეშე დარჩენილი ბავშვების ოდენობა 1400 აღსაზრდელამდე.

**3.2 პროფესიული განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 03)**

პროგრამა ითვალისწინებს ხელი შეუწყოს სკოლის მოსწავლეთა ესთეტიკურ სულიერ აღზრდას, მოახდინოს მათი მხატრულ–შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზება, ასევე ხელი შეუწყოს არქართველი მოსახლეობის ქართული ენის შესწავლას

**3.2.1 საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი (პროგრამული კოდი 04 03 01)**

პროგრამა ითვალისწინებსხელი შეუწყოს სკოლის მოსწავლეთა ესთეტიკურ სულიერ აღზრდას, მოახდინოს მათი მხატრულ–შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზება,

**3.2.2 არაქართულ სოფლებში ქართული ენის წრის ხარჯები**

(პროგრამული კოდი 04 03 02)

პროგრამა ითვალისწინებს არქართველი მოსახლეობის ქართული ენის შესწავლის ხელშეწყობას

**მოსალოდნელი შუალედური შედეგი:**

საბავშვო ბაგა–ბაღებში გაუმჯობესებული სააღმზრდელო პროცესი

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მენეჯმენტის სრულყოფა;

საბავშვო ბაგა–ბაღებში დასაქმებულთა მოტივიზაციის გაზრდა;

სამოქალაქო საზოგადოების ჩარტულობის გაზრდა საბავშვო ბაგა–ბაღების მართვის პროცესში

განათლებული მომავალი თაობის აღზრდა

ქართული ენის პოპულარიზაცია

შედეგების შეფასების კრიტერიუმი:

აღსაზრდელთა და მშობელთა კმაყოფილობის ზრდა;

აღსაზრდელთა რაოდენობის ზრდა %–ით;

რესპუბლიკურ ტურებში გამარჯვებული მოსწავლეთა რაოდენობის ზრდა

ინტეგრირებული არაქართუველი მოსახლეობა

**4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**

(პროგრამული კოდი 05 00)

სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი )

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და ფინანსური მხარდაჭერა; სპორტის სხვადასხვა სახის (ფეხბურთის, ცურვა,თავისუფალი ჭიდაობ, ძიუდო, მძეოსნობა, ბერძნულ–რომაული ჭიდაობა, რაგბი, ჭადრაკი) განვითარების პოპულარიზაცია. სხვადასხვა ადგილობრივ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება.

**4.1. სპორტული სკოლები (პროგრამული კოდი 05 01 01)**

პროგრაამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპოტრსმენების წახალისება;

2014 წლის განმავლობაში დაფინანსდება აიპ „საგარეჯოს სპორტული გაერთიანების“ (სადაც ფუნქციონირებს ჭადრაკის, ფეხბურთის, თავისუფალი ჭიდაობის, ძიუდოს, მძეოსნობის, ბერძნულ–რომაული ჭიდაობის, რაგბის სექციები) და აიპ საგარეჯოს 105 კომპლექსური სპორტსკოლის ხარჯები.

აიპ „საგარეჯოს სპორტული გაერთიანების“ სექციებში ჯანმრთელობას იკაჟებს 716 მოსწავლე. მ.შ. 19 გოგონა.

სპორტსკოლებში სწავლა უფასოა გარდა ცურვის სექციისა.

სპორტულ სკოლებში დასაქმებულია მწვრთნელები, რომელიც ემსახურება ბავშვის აღზრდას.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

ბავშვების და მოზარდების სპორტულ ცხოვრებაში აქტიური ჩაბმა;

მოსახლეობაში დანერგილი ცხოვრების ჯა ნსაღი წესი;

ქვეყნის ნაკრები გუნდების შევსება ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენებით;

სპორტის სხვადასხვა სახეობებში ადგილობრივ და საერთაშორისო რანგის შეჯიბრებებში სპორტსმენთა წარმატებული გამოსვლა;

შედეგების შეფასების კრიტერიუმი:

სპორტულ ჯგუფებში ჩაბმული ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობის ზრდა;

სპორტის ადგილობრივ, რესპუბლიკურ და სართაშორისო სპორტულ ღონისძიებებში გამარჯვებულთა და პრიზიორთა რაოდენობის ზრდა;

**4.2 პროგრამა – კულტურის განვითარების ხელშეწყობა, (პროგრამული კოდი 05 02)**

პროგრამის ფარგმებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული კულტურის ობიექტების, ბიბლიოთეკების, მუზეუმების, სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა, წიგნადი ფონდის განახლება თანამედრვე ლიტერატურით,ადგილობრივი მნიშვნელობის თეატრის რეპერტუარის განახლება; კულტურული დაწესებულებებისათვის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, კულტურული ღონისძიების ხელშეწყობა, საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის რეაბილიტაცია

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

სეზონზე ახალი სპექტაკლების ზრდა;

მოსახლეობისათვის განახლებული სერვისის შეთავაზება და მკითხველთა დაინტერესების გზით მომხმარებელთა რაოდენობის გაზრდა;

მუზეუმების პოპულარიზაციის გაზრდილი დონე – ექსპოზიციები; გამოფენები, გზამკვლევები;

საზოგადოების ფართო ნაწილის მონაწილეობა მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაში

ნიჭიერი შემოქმედების წარმოჩენა, შემოქმედებითი პროცესის ინტენსივობა;

**შედეგების შეფასების კრიტერიუმი:**

ახალი სპექტაკლების რაოდენობა;

თეატრალური ხელოვნებით დაინტერესებული მაყურებლის ზრდა;

ბიბლიოთეკებში მკითხველთა რაოდენობის ზრდა;

საგანმანათლებლო–სამეცნიერო ღონისძიებების ზრდა;

მუზეუმებში ვიზიტიორთა რაოდენობა;

**4.3. პროგრამა – სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 03)**

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მოსწავლეთათვის დაწყებითი სამუსიკო განათლების მიცემა; სასწავლებელი მოიცავს შემდეგ დარგებს: საფორტეპიანო. სავიოლიო, ვოკალური. ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშების გაცნობა; მოსწავლეთათვის ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბება.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

მოსწავლეთა კულტურულ–საგანმანათლებლო დონის ამაღლება;

მატერიალურად წახალისებული და მოტივირებული წარმატებული მოსწავლეები;

**შედეგების შეფასების კრიტერიუმი:**

სასწავლო წლის განმავლობაში ჩატარებული კონკურსები, ღია გაკვეთილები, კონცერტები;

ხელშეწყობა ანსამბლ „გარეჯი“, „ჩინარი“, „იმედი“–ის წარმატებებში, სადაც გაერთიანებულია როგორც სრულწლოვანი, ისე არასრულწლოვანი წევრები.

**4.4. პროგრამა – ახალგაზრდული ღონისძიებები, (პროგრამული კოდი 05 04)**

პროგრამის ფარგლებში ჩატარდება არაფორმალური განათლების ხელშეწყობა (ტრენინგ–სემინარები, ფორუმები, ინტელექტუალურ–შემეცნებითი, გასართობი თამაშები, შემოქმედებითი და საგანმანათლებლო კონკურსები და სხვა) შემოქმედებითი ახალგაზრდების პოპულარიზაცია (გამოფენები, ლიტერატურული საღამოები, კონცერტები და სხვა) ახალგაზრდული საინფორმაციო ცენტრის ხელსეწყობა; ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება (ლაშქრობები, ექსკურსიები, სპორტული შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობებში) და სხვა ღონისძიებები

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

ახალგაზრდობის მხრიდან თ ავისუფალი დროის შინაარსიანი და ეფექტური ხარჯვა;

ინტელექტუალური დონის ამაღლება;

თვისობრივად და ხარისხიანად განხორციელებული ღონისძიებები;

შედეგების შეფასების კრიტერიუმი:

წარმატებული და ინიციატივიანი ახალგაზრდების ზრდა;

საზოგადოებრივად აქტიური, ინფორმირებული და მაღალი კვალიფიკაციის მქონე ახალგაზრდები

ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა;

**4.5. პროგრამა საგამომცემლო საქმიანობა (პროგრამული კოდი 05 05)**

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთის გამოშვება, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის კანონის შესაბამისად ნებისმიერ საქმიანობას, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, საზოგადოებისა და პარტნიორების ინტერესებს. შპს–ს ძირითადი მიზანია „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთის გამოშვება და მოსახლეობის ინფორმირება რაიონში მიმდინარე მნიშვნელოვანი სიახლეების შესახებ.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

მუნიციპალიტეტში მიმნიდარე მნიშვნელოვანი სიახლეების მოსახლეობისათვის გაცნობა

შედეგების შეფასების კრიტერიუმი:

ინფორმირებული მოსახლეობა

მას მედიის მედიატორის როლის გაძლიერება ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის;

მას მედიის საშუალებით მუნიციპალიტეტის საქმიანობის ინფორმირებულობა;

მოსახლეობის ინფორმაციული უზრუნველყოფის გაზრდა;

მუნიციპალიტეტის საქმიანობის გამჭვირვალობის გაზრდა.

**5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

(პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელსეწყობა და მათი სოციალური დაცვა ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს, მუნიციპალიტეტის არსებული რესურსების ფარგლებში ახორციელებს ექიმთა დამაგრების მიზნით ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხელფასზე დანამატის გაცემა, ადამიანის უსაფრთხო გარემოს შექმნის ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით, დერატიზაციის, დეზინფექციის და საბონიფიკაციო ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა, ქალაქ საგარეჯოს ტერიტორიაზე მცხოვრებ უმწეო და გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა რაოდენობის დაზუსტება და მათი უფასო კვება, საგარეჯოს ადგილობრივ ხელისუფლებაში მომუშავე პირის სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული ოჯახის სოციალურ დაცვას,მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ომის ვეტერანთა დაფასება და გარდაცვლილ ოჯახებზე გაწეული დამარებას, სტიქიური უბედურების შედეგად დაზიანებული სახლებიდან მოსახლეობის საცხოვრებლით უზრუნველყოფა (ბინის ქირის ასანაზრაურებელი კომპენსაცია), მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე

გაგრძელება მე-7 გვერდზე

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

# დადგენილება № 35

## გაგრძელება

მცხოვრები უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა თვის მედიკამენტებით, და ფულადი ფორმით შემწეობების და ფინანსური დახმარების გაწევას ,

### 5.1 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების პროგრამა

(პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ადამიანის უსაფრთხო გარემოს შექმნის ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით, დერატიზაციის, დეზინფექციის და საბონიფიკაციო ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა

მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.

პროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდება სოფლის ამბულატორიების მომსახურება. სოფელი უდაბნო მუნიციპალიტეტის ცენტრიდან დაშორებულია 30 კმ–ით, სოფელში არის ამბულატორია, მაგრამ მძიმე პირობების გამო ჭირს ექიმთა სოფელში დამაგრება, პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ექიმთა დამაგრების მიზნით ხელფასზე დანამატის დაწესება

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

მოსახლეობის საშიში ინფექციური დაავადების შემცირება და ეპიდზედამხდველობის გაუმჯობესება

მართვადი ინფექციების გავრცელების შეზღუდვა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება;

სოფლის მოსახლეობისათვის პირველადი დახმარების ადგილზე გაწევა

შედეგების შეფასების კრიტერიუმი: 10 %–ით;

ეპიდემიოლოგიური დაავადების შემცირება 10%–ით

პროფილაქტიკური აცრების შესახებ ინფორმირებული მოსახლეობის ზრდა

დახმარებულ ბენეფიციართა რაოდენობის ზრდა 10%

მოსახლეობის კმაყოფილების დონის ამაღლება

საშიში დაავადებების ავადობის მაჩვენებელის შემცირება

სიცოცხლის ხანგრძლივობისა და შრომისუნარიანობის გაზრდა.

### 5.2 სოციალური პროგრამები (06 02)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისთვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას, კერძოდ: კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

### 5.2.1 ომის მონაწილეთა დახმარების და სარიტუალო ხარჯები

